პრეზიდენტ
დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი



დაამთავრეთ ანთებული ჩირაღდნით

ძველ საბერძნეთში მძლეოსნები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ე.წ. *ლამპადედრომიაში.*[1] სირბილის დროს გარკვეული დისტანციის გარბენის შემდეგ მძლეოსნები ერთმანეთს გადასცემდნენ ჩირაღდანს, სანამ გუნდის ბოლო წევრი არ გადაკვეთდა ფინიშის ხაზს.

პრიზი გადაეცემოდა არა იმ გუნდს, რომელიც უფრო ჩქარა მირბოდა, არამედ იმას, რომელიც ფინიშამდე მივიდოდა ანთებული ჩირაღდნით.

აქ ჩვენ ვხედავთ ბრძნულ გაკვეთილს, რომელსაც გვასწავლიდნენ ძველი დროის და თანამედროვე წინასწარმეტყველები: მნიშვნელოვანია სირბილის დაწყება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ანთბული ჩირაღდნით სირბილის დამთავრება.

სოლომონმა კარგად დაიწყო

დიდი მეფე სოლომონი არის მაგალითი იმისა, ვინც კარგად დაიწყო. როცა ახალგაზრდა იყო, მან "შეიყვარა უფალი, და მამამისის, დავითის წესზე დადიოდა" (3 მეფეთა 3:3). ღმერთი კმაყოფილი იყო მისი და უთხრა: "მთხოვე, რაც გინდა, რომ მოგცე (3 მეფეთა 3:5).

ხანგრძლივი ცხოვრებისა ან სიმდიდრის ნაცვლად სოლომონმა სთხოვა "გონიერი გული, რათა განაგოს შენი ერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისგან" (3 მეფეთა 3:9).

იმდენად მოეწონა ეს უფალს, რომ მან დალოცა სოლომონი არა მხოლოდ სიბრძნით, არამედ არნახული სიმდიდრითა და ხანგრძლივი სიცოცხლით.

მიუხედავად იმისა, რომ სოლომონი ნამდვილი ბრძენი იყო და მრავალი დიდებული რამ გააკეთა, იგი ბოლომდე ვერ დარჩა ძლიერი. სამწუხაროდ, ცხოვრების ბოლოს "სოლომონი ბოროტს აკეთებდა უფლის თვალში და ისე არ ერთგულებდა უფალს, როგორც მამამისი დავითი" (3 მეფეთა 11:6).

ჩვენი შეჯიბრის დასასრული

რამდენჯერ დაგვიწყია რაიმე და არ დაგვიმთავრებია? დიეტა? ვარჯიში? დაპირება, ყოველდღე ვიკითხოთ წმინდა წერილი? გადაწყვეტილებების მიღება, რომ ვიყოთ უკეთესი მოწაფენი იესო ქრისტესი?

რაოდენ ხშირად ვიძლევით დაპირებებს იანვარში და სულ რამდენიმე დღის, კვირის ან თვის განმავლობაში მოწადინებით ვასრულებთ მათ და აღმოვაჩენთ, რომ უკვე ოქტომბერში ჩვენი ვალდებულების ცეცხლი ცოტა რომ ცივ ფერფლად არ იქცა.

ერთხელ წავაწყდი ასეთ სასაცილო სურათს: ძაღლი იწვა ქაღალდის ნაგლეჯთან, რომელიც თვითონვე დაფლითა. ქაღალდზე ეწერა: "ძაღლების მოთვინიერების ტრენინგის სერტიფიკატი".

ჩვენ ყველანი ზოგჯერ ასეთნაირად ვიქცევით.

გვაქვს კარგი ზრახვები; კარგად ვიწყებთ; გვინდა საუკეთესო პიროვნებანი ვიყოთ. მაგრამ ბოლოს ჩვენს დაპირებებს ვფლეთთ, უგულებელვყოფთ მათ და გვავიწყდება ისინი.

ეს არის ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი თვისება - წაბორძიკდე, დაეცე და ზოგჯერ იმის სურვილიც კი გაგიჩნდეს, რომ შეჯიბრს გამოეთიშო. მაგრამ როგორც იესო ქრისტეს მოწაფენი, ჩვენ ვალდებულნი ვართ არა მხოლოდ დავიწყოთ სირბილი, არამედ დავამთავროთ იგი, თანაც მოკაშკაშე ანთებული ჩირაღდნით. მხსნელი დაპირდა თავის მოწაფეებს: "ბოლომდე დამთმენი კი გადარჩება" (მათე 24:13).

ნება მიბოძეთ მოვახდინო მხსნელის სადღეისო დაპირების პარაფრაზი: თუ დავიცავთ მის მცნებებს და დავასრულებთ ანთებული ჩირაღდნით, ჩვენ მარადიულ ცხოვრებას ვიქონიებთ, რაც არის ღვთის ძღვენთა შორის ყველაზე დიდი ძღვენი (იხ. მოძღვრება და აღთქმები 14:7; ასევე იხ. 2 ნეფი 31:20).

სინათლე, რომელიც არასდროს არ ქრება

ზოგჯერ წაბორძიკების ან დაცემის შემდეგ ან ფარ-ხმლის დაყრის შემთხვევაშიც კი, ჩვენ გულგატეხილობას ვგრძნობთ ან ვფიქრობთ, რომ ცეცხლი ჩაგვიქრა და შეჯიბრი წავაგეთ. მაგრამ ვმოწმობ, რომ ქრისტეს სინათლე არ ჩაქრება. იგი ანათებს სიბნელეში და იზიდავს ჩვენს გულებს, თუკი გულებს მისკენ მივმართავთ (იხ. 3 მეფეთა 8:58).

არ აქვს მნიშვნელობა იმას, რამდენად დაბლა ვეცემით, ქრისტეს სინათლე მაინც კაშკაშად ანათებს. ღრმა ღამეშიც კი, თუკი მისკენ გადავდგამთ ნაბიჯს, მისი სინათლე შთანთქავს ლანდებს და აგვინთებს გულებს.

მოწაფეობის ეს შეჯიბრი არ არის სპრინტი; ეს მარათონი გახლავთ. და იმასაც არ აქვს მნიშვნელობა, რაოდენ სწრაფად მივრბივართ. ფაქტიურად, ერთადერთი გზა, რომლითაც შეგვიძლია შეჯიბრის წაგება არის - გამოეთიშო სირბილს.

სანამ ვაგრძელებთ დაცემის შემდეგ ადგომას და მხსნელისკენ სირბილს, ჩვენ მოვიგებთ შეჯიბრს კაშკაშად ანთებული ჩირაღდნით.

რადგან ჩირაღდანი არ წარმოადგენს ჩვენს პიროვნებას ან იმას, თუ რას ვაკეთებთ.

იგი სამყაროს მხსნელს წარმოადგენს.

და ეს არის ის სინათლე, რომელიც არასდროს არ გამკრთალდება. ეს არის სინათლე, რომელიც შთანთქავს ბნელს, მოგვიშუშებს ჭრილობებს და იგიზგიზებს ყველაზე ღრმა მწუხარებასა და წარმოუდგენელ სიბნელეშიც კი.

ეს არის სინათლე, რომელიც აღემატება წვდომას.

დაე, ყოველმა ჩვენგანმა ბოლომდე გაიაროს დაწყებული გზა. და ჩვენი მხსნელისა და გამომსყიდველის, იესო ქრისტეს, დახმარებით, ჩვენ დავასრულებთ სიხარულითა და ანთებული ჩირაღდნით.

შენიშვნა

1. *ჰარპერის კლასიკურ-ანტიკური ლექსიკონი* (1898), "Lampadedromia," www.perseus.tufts.edu/hopper. პაუსანიუსი აღწერს ჩირაღდნით სირბილის განსხვავებულ სახეობას, როდესაც ჩირაღდნის მატარებელი პირი, როგორც ჩანს, ერთი ყოველი თემიდან, არ გადასცემდა თავისიანს ჩირაღდანს. მაგრამ *ლამპადედრომიაში* გამარჯვებული იყო ის, ვინც პირველი მივიდოდა დისტანციის ბოლოს ანთებული ჩირაღდნით.

ამ მოწოდების სწავლება

შეაგულიანეთ ახალგაზრდები დაფიქრდნენ იმაზე, რა ადგილას იმყოფებიან ისინი ცხოვრების "დისტანციის" მონაკვეთზე. ანთია მათი ჩირაღდნები კაშკაშად? შეგიძლიათ წაუკითხოთ ფრაზა, სადაც ნათქვამია, რომ ქრისტეს სინათლე არის ის "სინათლე, რომელიც შთანთქავს ბნელს, მოგვიშუშებს ჭრილობებს და იგიზგიზებს ყველაზე ღრმა მწუხარებაში და წარმოუდგენელ სიბნელეშიც კი". შემდეგ განიხილეთ მათთან ერთად, ვისაც სტუმრობთ, როგორი გავლენა ჰქონდა წარსულში ქრისტეს სინათლეს მათ ცხოვრებაზე და რა გავლენა აქვს მას მათ ცხოვრებაზე ახლა.

ახალგაზრდები

მოამზადეთ ჩირაღდანი: 30-დღიანი გამოცდა

ეკლესიის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ძალიან დაკავებულები არიან, ადვილია, გაიჭედონ რუტინაში, განსაკუთრებით სულიერ საკითხებთან მიმართებაში. ჩვენ ვკითხულობთ წმინდა წერილს, ვლოცულობთ, თითქმის ყოველ დღე ერთნაირად თაყვანს ვცემთ ღმერთს და მერე გვიკვირს, რატომ ვეცემით სულიერად.

ერთ-ერთი საუკეთესო ხერხი იმისთვის, რომ ჩვენი სულიერი ჩირაღდანი ყოველთვის კაშკაშად ანათებდეს, არის მნიშვნელოვანი სულიერი გამოცდილების მიღება. მაგრამ ამის თქმა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე შესრულება, ასე რომ აი წინადადება, რომელიც დაგეხმარებათ სულიერი პროგრესის გაგრძელებაში:

მოიფიქრეთ სახარებასთან დაკავშირებული ღონისძიება, რაც აქამდე არ ჩაგიტარებიათ (ან ძალიან იშვიათად ატარებთ). მიიღეთ გადაწყვეტილება და ერთი თვის განმავლობაში ჩაატარეთ იგი. შეგიძლიათ პატარა ღონისძიებით დაიწყოთ, რადგან პატარა ცვლილებების დიდი ხნის მანძილზე ჩატარება უფრო ადვილია. როცა ჩვენ ვაკეთებთ რამეს, რასაც სულიერი კომფორტის ზონიდან გავყავართ, ეს ზოგჯერ ჩვენგან მოითხოვს უფრო მეტ რწმენას და ძალისხმევას, მაგრამ როცა ამას ვაკეთებთ, ჩვენ ვიწვევთ სულიწმინდას და ვამჟღავნებთ უფრო ღრმა რწმენას მამაზეციერის მიმართ და სურვილს - ვიყოთ მასთან ახლოს. აი რამდენიმე იდეა დასაწყისისთვის:

- დასახეთ მიზნად ილოცოთ დილით და საღამოს. ეცადეთ, ხმამაღლა ილოცოთ.
- გაიღვიძეთ 15 წუთით ადრე და სკოლაში წასვლამდე წაიკითხეთ წმინდა წერილი.
- წაიკითხეთ გამოსვლა ბოლო გენერალური კონფერენციიდან.
- სოცქსელებში გამოაქვეყნეთ ნაწყვეტი მორმონის წიგნიდან.
- ჩვეულებრივი მუსიკის ნაცვლად მოისმინეთ საეკლესიო ჰიმნები.

ბავშვები

უფრო კაშკაშად აანთეთ თქვენი ჩირაღდნები

ერიდი ხნის წინ საბერძნეთში იყო შეჯიბრი სირბილში, სადაც მძლეოსნებს ეკავათ ანთებული ჩირაღდნები. ის, ვინც მთელ დისტანციას ანთებული ჩირაღდნით გაირბენდა, გამარჯვებული იყო. პრეზიდენტი უხთდორფი ამბობს, რომ ცხოვრება ამ შეჯიბრს ჰგავს. ჩირაღდანი, რომელიც გვიჭირავს - ქრისტეს სინათლეა. როცა ვცდილობთ, დავემსგავსოთ ქრისტეს, ჩვენ ჩირაღდნებს უფრო კაშკაშად ვანთებთ.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, რაც დაგამსგავსებთ ქრისტეს და უფრო კაშკაშად აანთებს თქვენს ჩირაღდანს? აირჩიეთ შემდეგი ჩამონათვალიდან:

გაუღიმე ან მიესალმე ვინმეს, ვინც მოწყენილია
დარჩი ვინმეზე გაბრაზებული
იზრუნე შენს სხეულზე
დასცინე შენს დას ან ძმას
დაემორჩილე წინასწამეტყველს
შეცდომას რომ დაუშვებ, ხელი ჩაიქნიე
დაეხმარე ვინმეს

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, October 2015.* Georgian. 12590 131

იესო ქრისტეს ღვთიური თვისებები: მოწყალებითა და სიყვრულით აღვსილი

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი reliefsociety.lds.org.

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

წმინდა წერილის მითითებებში მოწყალება განმარტებულია როგორც "სიყვარულის უმაღლესი, უკეთილშობილესი და უძლიერესი სახეობა "მოწყალება"). ეს არის ქრისტეს წმინდა სიყვარული. როცა ვსწავლობთ იესო ქრისტეს შესახებ და ვცდილობთ, დავემსგავსოთ მას, ჩვენ ვგრძნობთ მის სიყვარულს და ვიღებთ ბიძგს - გვიყვარდეს სხვები და ვემსახუროთ მათ ისე, როგორც იგი აკეთებდა ამას. "მოწყალება ნიშნავს იქონიო მოთმინება იმის მიმართ, ვინც დაგთრგუნა", - ბრძანა პრეზიდენტმა მონსონმა. "ეს ნიშნავს გაუწიო წინააღმდეგობა ადვილად წყენის მიღების იმპულსს. ეს ნიშნავს სისუსტეებისა და ნაკლის მიღებას. ეს ნიშნავს მიიღო ადამიანები ისეთნი, როგორიც ისინი არიან. ეს ნიშნავს ფიზიკურის მიღმა გახედვას იმ თვისებების დასანახად, რომლებიც დროთაგანმავლობაში არ გამკრთალდება. ეს ნიშნავს, წინააღმდეგობა გაუწიო იმპულსს, დაყო სხვები კატეგორიებად".[1]

მორმონის წიგნიდან ჩვენ ვსწავლობთ დიად ჭეშმარიტებას, რომ "ვლოცულობთ მამის მიმართ გულის მთელი ენერგიით, რათა ავივსოთ მისი სიყვარულით, რომელიც მან გადმოღვარა მათზე, ვინც არიან მისი ძის, იესო ქრისტეს, ჭეშმარიტი მიმდევრები; რათა გავხდეთ ღვთის ძენი და ასულნი; რამეთუ როცა გამოჩნდება იგი, ჩვენ მისი მსგავსნი ვიქნებით, ვინაიდან ვიხილავთ მას ისეთს, როგორიც იგია; რათა ვიქონიოთ მისი იმედი; რომ ვიყოთ ისეთივე განწმენდილნი, როგორიც იგია" (მორონი 7:48).

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

იოანე 13:34-35; 1 კორინთელთა 13:1-13; 1 ნეფი 11:21-23; ეთერი 12:33-34

ჩვენი ისტორიიდან

"ახლახანს დაქვრივებული და მადლიერი იყო შინ მოსული მასწავლებლებისა, რომლებიც მასთან ერთად გლოვობდნენ და ანუგეშებდნენ მას. აი მისი სიტყვები: 'მე სასოწარკვეთილს მჭირდებოდა ვინმე, ვინც მომისმენდა. . . . და მათ მომისმინეს. მათ მანუგეშეს. მათ იტირეს ჩემთან ერთად. . . .ისინი დამეხმარნენ, რომ დამეძლია ღრმა სასოწარკვეთილება და დეპრესია მარტოობის პირველ თვეებში."

"მეორე ქალბატონი იხსენებს თავის გრძნობებს იმ დროს, როცა მიიღო ჭეშმარიტი მოწყალება სტუმრად მოსული მასწავლებლისგან: "მე ვიცოდი, რომ ეს არ იყო მისთვის მხოლოდ ფორმალობა და ბლოკნოტში შესატანი ციფრი. მე ვიცოდი, რომ იგი ზრუნავდა ჩემზე".[2]

ისე, როგორც ეს დები, წმინდანებს მთელს მსოფლიოში შეუძლიათ დაამოწმონ პრეზიდენტი ბოიდ კ. პეკარის განცხადება: "რაოდენ მანუგეშებელია იცოდე, რომ მიუხედავად იმისა, საით მიემგზავრება ოჯახი, ეკლესიური ოჯახი ელით მათ. ჩამოსვლის დღიდან, მამაკაცი ეკუთვნის სამღვდელოების ქვორუმს, ქალი კი მოწყალების საზოგადოებას".[3]

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, "Charity Never Faileth," *Liahona,* Nov. 2010, 124.
2. *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 119-120.
3. *Daughters in My Kingdom,* 87.

განიხილეთ შემდეგი

რანაირად არის ქრისტე სიყვარულისა და მოწყალების სრულყოფილი მაგალითი

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, October 2015.* Georgian. 12590 131